

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის
მიზნობრივი პროგრამა

2017 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

მრავალშვილიანი დედების (ყოველ მე-3 და მომდევნო შვილის შექმნისას)
ერთჯერადი მატერიალური დახმარება

2. პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა:

“1 იანვარი“ 2017წ.
“31 დეკემბერი“ 2017წ.

3. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით: 06 02 03

4. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

67500 (სამოცდაშვილიათასხუთასი) ლარი.

5. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი 67500 ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

7. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარება მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური სტიმულირების მიზნით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა პროგრამა, რომელიც გულისხმობს ყოველ მესამე შვილზე 500 ლარით, მეოთხე შვილზე 700 ლარით, მეხუთე და შემდეგ შვილზე 900 ლარით დახმარებას.

8. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი დედების (ყოველ მე-3 და მომდევნო შვილის შექმნისას) ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა	პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა.
		მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება

9. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2017 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	ერთჯერადი დახმარების გაწევა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

10. პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა და კატეგორია:

პროგრამით ისარგებლებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც 2017 წელს შეეძინება მესამე და მომდევნო შვილი. ოჯახების სავარაუდო რაოდენობა განისაზღვრება წინა წლის შობადობის სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით.

11. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

პროგრამით ისარგებლებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახები, სოციალური სტატუსის მიუხედავად, ყოველი მესამე და მომდევნო შვილის შექმნისას.

12. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წაროს დასახელება		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	სულ
	ძირითადი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	67500			67500
	დამატებითი					
	სულ		67500			67500

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასახელება	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთჯერადი დახმარების მოცულობა (ლარი)	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
1	მატერიალური დახმარება მესამე შვილის შექმნისას	ოჯახი	105	500	52500
2	მატერიალური დახმარება მეოთხე შვილის შექმნისას	ოჯახი	15	700	10500
3	მატერიალური დახმარება მეხუთე და მომდევნო შვილის შექმნისას	ოჯახი	5	900	4500
სულ ჯამი					67500

დამატებითი ინფორმაცია:

მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:
დაფინანსება განხორციელდება ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;
2. მშობლების პირადობის მოწმობის ასლები დედანთან ერთად;
3. შვილების დაბადების მოწმობის ასლები დედანთან ერთად;
4. საბანკო რეკვიზიტები.
5. საჭიროების შემთხვევაში – ქორწინების მოწმობა და სხვა დოკუმენტაცია.

შენიშვნა: სხვადასხვა მიზეზით დაგვიანებით მომართვის შემთხვევაში 2016 წლის დეკემბერში შვილის შექმნასთან დაკავშირებით ოჯახზე ერთჯერადი დახმარება გაიცემა შვილის შექმნის პერიოდში მოქმედი მიზნობრივი პროგრამით გათვალისწინებული სარგოს ფარგლებში.

დაფინანსება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორებით ბენეფიციარის საბანკო ანგარიშზე.